# თავი 18

## შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა – ტესტები

1. შემოსავალი არის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელიც გამოიხატება:
   ა) აქტივების შემცირების გზით;
   ბ) ვალდებულებების გადიდების გზით;
   გ) აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით.

2. ხარჯი არის:
   ა) აქტივების გასვლა საწარმოდან, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულების შემცირებასთან;
   ბ) ვალდებულების ზრდა, რომელიც დაკავშირებულია აქტივების ზრდასთან;
   გ) საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრისათვის კაპიტალის განაწილებასთან.

3. ჩამონათვალიდან რომელი არ შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლად:
   ა) ამონაგები;
   ბ) შემოსულობა;
   გ) მესაკუთრეთა დამატებითი შენატანი კაპიტალში.

4. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება არასაოპერაციო შემოსავალს:
   ა) საქონლის რეალიზაციით მიღებული თანხა;
   ბ) ავანსად მიღებული თანხა;
   გ) ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული დადებითი შედეგი.

5. ჩამოთვლილთაგან რომელია განსაკუთრებული ხარჯის შემთხვევა:
   ა) ახლის აშენების მიზნით ძველი შენობის ნგრევა;
   ბ) მიწისძვრის შედეგად შენობის ნგრევა;
   გ) მიწის მყიდველი მხარის მოთხოვნით შენობის ნგრევა.

6. საწარმოში თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები შემდეგნაირადაა კლასიფიცირებული:
   დ 7410 5 000
   დ 7320 1 700
   დ 1630 2 400
   კ 3130 9 100
   
   ხარჯების კლასიფიცირების რომელი მეთოდია გამოყენებული:
   ა) ეკონომიკური შინაარსით დაყოფა;
   ბ) ფუნქციების მიხედვით დაყოფა;
   გ) პერიოდის მიხედვით დაყოფა.

7. საწარმომ თავისი წარმოებული დანადგარი ერთი თვით გამოსაცდელი ვადის პირობით გაყიდა. ფული გადახდილი უნდა იქნეს 2 თვის შემდეგ. როდის აღიარდება შემოსავალი:
   ა) გაყიდვისთანავე;
   ბ) ერთი თვის შემდეგ;
   გ) ორი თვის შემდეგ.

**8. ჩამოთვლილთაგან რომელია ის შემთხვევა, როცა ერთი მხარისათვის ის შეიძლება იყოს შემოსავალი, ხოლო მეორე მხარისათვის არ განიხილებოდეს როგორც ხარჯი:**
   ა) მისაღები და გადასახდელი პროცენტები;
   ბ) მისაღები და გასაცემი დივიდენდი;
   გ) როიალტის სახით მისაღები და გასაცემი ეკონომიკური სარგებელი.

**9. ჩამოთვლილთაგან რომელი აღიარდება პერიოდის ხარჯად:**
   ა) მარაგის თვითღირებულების ხარჯი;
   ბ) მარაგის თვითღირებულების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ხარჯი;
   გ) ძირითადი საშუალების შეძენის ხარჯი.

**10. შემოსავლები გულისხმობს არარეალიზებულ შემოსულობებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას:**
   ა) ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გადაფასებით;
   ბ) გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ზრდით;
   გ) ორივე პასუხი მართებულია.

**11. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსულობებს ხშირად ასახავენ:**
   ა) მათ მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით;
   ბ) მათ მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯების გამოკლების გარეშე;
   გ) ორივე პასუხი მცდარია.

**12. ბასს 18 "ამონაგები"-ს მიხედვით, საქონელი მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ:**
   ა) საკუთარი წარმოების პროდუქციას;
   ბ) შეძენილ საქონელს;
   გ) ორივე პასუხი მართებულია.

**13. თუ აქტივის დამონტაჟება მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც მიმწოდებელს ჯერ არ შეუსრულებია, მაშინ:**
   ა) არ ხდება ამონაგების აღიარება;
   ბ) ხდება თვითღირებულების ხარჯების აღიარება;
   გ) ორივე პასუხი მცდარია.

**14. თუ ამონაგების აღიარების შემდეგ საეჭვო გახდა ამოსაღები თანხის მიღება, მაშინ:**
   ა) ეს თანხა აღიარდება ხარჯის სახით მყიდველის აღრიცხვაში;
   ბ) ეს თანხა აღიარდება ხარჯის სახით გამყიდველის აღრიცხვაში;
   გ) მოხდება აღიარებული ამონაგების კორექტირება გამყიდველის აღრიცხვაში.

**15. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება, რომელიც პროცენტული შესრულების მეთოდის სახელითაა ცნობილი, უკავშირდება მიწოდების საიმედოდ შეფასების შემდეგ პირობას:**
   ა) შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებული თანხის საიმედო შეფასება;
   ბ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
   გ) ორივე პასუხი სწორია.

**16. ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულად აღიარებას განსაზღვრავს:**
   ა) კონსერვატიზმის კონცეფცია;

ბ) შესაბამისობის კონცეფცია;

გ) რეალიზაციის კონცეფცია.

**17. საწარმო იყენებს მარაგის მუდმივი აღრიცხვის სიტემას და ხარჯების ფუნქციური დაყოფის მეთოდს. რომელი პერიოდის ხარჯებში მოხვდება მუშის ხელფასი, რომელიც დაიხარჯა ოქტომბრის თვეში, პროდუქცია კი გაიყიდა მომდევნო წლის თებერვალში:**

ა) ოქტომბერში;

ბ) დეკემბერში;

გ) თებერვალში.

**18. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება პერიოდის ხარჯებს:**

ა) საპროცენტო ხარჯი;

ბ) რეკლამის ხარჯი;

გ) საწარმოო დანადგარის ცვეთის ხარჯი.

**19. სესხის პროცენტის ხარჯად აღიარება ხდება:**

ა) მხარეთა შორის შეთანხმებით;

ბ) სესხის აღებისას;

გ) პერიოდის შესაბამისად.

**20. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება ხდება მისი გაწევისთანავე, თუ:**

ა) იგი მომავალში წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) იგი არ წარმოშობს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს;

გ) ორივე პასუხი მცდარია.

**21. სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული თანხა, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და რომლის მიღებასთან წარმოშობილია განუსაზღვრელობა ან საეჭვო გარემოება:**

ა) უნდა აღიარდეს ხარჯად;

ბ) უნდა მოხდეს საკონტრაქტო ამონაგების კორექტირება;

გ) ორივე პასუხი მცდარია.

## შემოსავლები და ხარჯები – ამოცანები

### სავარჯიშო №1

კომპანია "თელასა" და შპს "კოლხიდას" შორის მიმდინარე წლის 15 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანიამ შპს "კოლხიდას" კრედიტში მიაწოდა 7.800 ლარის თვითღირებულების საკუთარი წარმოების მოწყობილობა (პროდუქციის შესაფუთი მანქანა) 10.000 ლარად. აღნიშნული ღირებულება შპს "კოლხიდამ" უნდა დაფაროს 30 აპრილს ნაღდი ანგარიშსწორებით.

იმის გამო, რომ მყიდველს წარმოექმნა შენაძენის წაღებასთან დაკავშირებული პრობლემები, გარიგების მხარეებს შორის შედგა დამატებითი შეთანხმება, ტვირთის 18 აპრილამდე შენახვასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ამავე დღეს კომპანია "თელამ" შპს "კოლხიდასათვის" განახორციელა 50.000 ლარის თვითღირებულების არასაკუთარი წარმოების მანქანა-დანადგარის ადგილზე მიტანა, რომლის სარეალიზაციო ფასი 59.000 ლარია. აღნიშნული აქტივის დამონტაჟება და ტექნიკური კონტროლი მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა მიმწოდებლისათვის, რომელიც მან უნდა განახორციელოს 20 აპრილამდე, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს აღნიშნულ მანქანა-დანადგარზე შპს "კოლხიდა" საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და ამავდროულად იკისრებს ვალდებულებას უნაღდო ანგარიშსწორების წესით კრედიტის დაფარვაზე არაუგვიანეს 10 მაისისა.

***მოგეთხოვებათ:***

გაატაროთ ოპერაციები კომპანია თელას აღრიცხვაში შესაბამისი თარიღების მიხედვით, თუ ცნობილია რომ გარიგების ორივე მხარის მიერ ზუსტად არის დაცული და შესრულებული დათქმული პირობები.

## სავარჯიშო №2

მ/წლის 7 ოქტომბრს შპს „მოდულმა" გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე კომპანია „ვარაზს" გადასცა 47.200 ლარად შეფასებული საკუთარი წარმოების მანქანა-დანადგარი. მყიდველი საკუთარი სახსრებით 10 ოქტომბრამდე ახდენს დანადგარის მონტაჟს და ამასთანავე იტოვებს მიმწოდებლისაგან შეთანხმების საფუძველზე მინიჭებულ უფლებას, დამონტაჟების შემდეგ 5 დღის მანძილზე განახორციელოს საკუთარი სპეციალისტების დახმარებით დანადგარის ტექნიკური შემოწმება და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს არა უგვიანეს 16 ოქტომბრისა. სხვა შემთხვევაში კომპანია "ვარაზმა" შპს "მოდულს" 25 ოქტომბრამდე უნაღდო ანგარიშსწორებით უნდა გადაუხადოს 55.000 ლარი.

**მოგეთხოვებათ:**

მოახდინოთ ოპერაციების ბუღალტრული გატარებები შპს "მოდულის" აღრიცხვაში თარიღების მიხედვით, თუ ცნობილია რომ უკან დაბრუნების ვადებში შპს "ვარაზს" მიწოდებული პროდუქცია უკან არ დაუბრუნებია.

## სავარჯიშო №3

მ/წლის 7 თებერვალს კომპანია "ინტელექტმა" სავაჭრო ობიექტს გადასცა საქონელი – 100 ცალი კომპიუტერი. თითოეულის თვითღირებულება 1 000 ლარია, ხოლო სარეალიზაციო ღირებულება – 1.200 ლარი.

კომპანია "ინტელექტსა" და სავაჭრო ობიექტს შორის გაფორმებული გარიგების თანახმად, სავაჭრო ობიექტი ფაქტიურად გაყიდული საქონლიდან კომპანიისათვის ასანაზრაურებელ თანხას ამ უკანასკნელს ჩაურიცხავს საბანკო ოპერაციით, ხოლო გაუყიდავი საქონელი შეუძლია უკან დაუბრუნოს სრულად იმ შემთხვევაში, თუ რეალიზებული ექნება მინიმუმ 40 კომპიუტერი მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უკან დაიბრუნებს გაუყიდავი საქონლის მხოლოდ 60%-ს. საქონლის უკან დაბრუნების და პირველი 40 კომპიუტერის საფასურის გადახდის ვადა განისაზღვრა 25 თებერვლით, ხოლო დანარჩენი ვალდებულების დაფარვის მაქსიმალური პერიოდი კი – 10 მარტით.

**მოგეთხოვებათ:**

გაატაროთ ბუღალტრულად სამეურნეო ოპერაციები, თუ ცნობილია, რომ სავაჭრო ობიექტმა კომპანიას 25 თებერვალს აუნაზღაურა ფაქტიურად გაყიდული 40 კომპიუტერის ღირებულება და მომწოდებელ კომპანიას უკან დაუბრუნა მხოლოდ 10 ერთეული კომპიუტერი.

## სავარჯიშო №4

შპს "არაგვი" მიმდინარე წლის 20 აპრილს სავაჭრო ობიექტს კონსიგნაციის წესით აწოდებს 2.000 ბოთლ ლიმონათს. ერთი ბოთლი ლიმონათის თვითღირებულება 0,8 ლარია, ხოლო სარეალიზაციო ფასი – 1 ლარი.

გარიგების პირობებით შპს "არაგვი" იღებს ვალდებულებას დაიბრუნოს უკან გაუყიდავი საქონელი მ/წლის 20 მაისის ჩათვლით.

სავაჭრო ობიექტმა ნაღდი ანგარიშსწორებით უნდა მოახდინოს ორ კვირაში ერთხელ (ანუ 5 მაისს და 20 მაისს) გაყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მიმწოდებლისათვის.

***მოგეთხოვებათ:***

მოახდინოთ სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულად გატარება შპს "არაგვის" აღრიცხვაში შესაბამისი თარიღების მიხედვით, თუ ცნობილია, რომ სავაჭრო ობიექტმა მიმწოდებელს მიმდინარე წლის 18 მაისს დაუბრუნა 200 ბოთლი და 20 მაისს 80 ბოთლი ლიმონათი, ხოლო რეალიზებული საქონლიდან 5 მაისს აუნაზღაურა 700 ბოთლი ლიმონათის ღირებულება, დანარჩენის ღირებულება კი აუნაზღაურა 20 მაისს.

## სავარჯიშო №5

სავამომცემლო კომპანია "ინტელექტმა" მ/წლის 3 ოქტომბერს გააფორმა 3 თვიანი გარიგება სასწავლო ცენტრთან, რომლის შესაბამისად იგი განახორციელებს ყოველთვიურად (3 თვის მანძილზე) 50 წიგნის დაბეჭდვას თითოეულს 25 ლარად. პირველი 50 წიგნი მზად უნდა იყოს 31 ოქტომბრისათვის.

აღნიშნული გარიგების საფუძველზე სასწავლო ცენტრმა 10 ოქტომბერს კომპანიას ავანსის სახით ჩაურიცხა 2 თვის მომსახურების საფასური 2.500 ლარი, ხოლო დანარჩენი 1.250 ლარი ჩაურიცხა 6 ნოემბერს.

კომპანია "ინტელექტმა" სასწავლო ცენტრთან ამავე წლის 1 ნოემბერს მოახდინა კიდევ ერთი გარიგების განხორციელება, კერძოდ, მან სასწავლო ცენტრს მიყიდა 3 წლიანი 180 ლარიანი აბონემენტი, რომლის მიხედვითაც სასწავლო ცენტრის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპანიასთან არსებული ბიბლიოთეკის მომსახურებით უფასოდ. თანხის გადახდა მოხდა გარიგების დღეს, წინასწარ, ნაღდი ანგარიშსწორებით.

<u>**მოგეთხოვებათ:**</u>

განახორციელოთ აღნიშნულ ოპერაციებთან დაკავშირებული ბუღალტრული გატარებები თარიღების მიხედვით კომპანია "ინტელექტის" აღრიცხვაში 10 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## სავარჯიშო №6

შპს "ვამპ" მიერ 20X2 წლის დეკემბრის თვის მიხედვით განხორციელებული აქვს შემდეგი ოპერაციები:

1) 1 დეკემბერს განხორციელდა ერთი წლით საფირმო ნიშნის გაქირავება პირზე, რომლისგანაც ყოველთვიურად მიიღებს 3.000 ლარს ნაღდი ანგარიშსწორებით. პირველი შემოსულობა როიალტის სახით განხორციელდა 31 დეკემბერს.
2) 10 დეკემბერს მოახდინა საწყისი ღირებულებით 20.000 ლარად შეფასებული მანქანა-დანადგარის რეალიზაცია კრედიტში 41.000 ლარად. თანხის გადახდა მოხდება 45 დღეში უნაღდო ანგარიშსწორებით. დანადგარზე დარიცხულია ცვეთა 2.000 ლარი.
3) შემდგომი რეალიზაციისათვის 15 დეკემბერს შეძენილია საქონელი, რომელშიდაც უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილია 80.000 ლარი..
4) 20 დეკემბერს მიღებულია 120 ლარის იურიდიული მომსახურება. თანხა გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით.
5) 25 დეკემბერს რეალიზებულია 15 დეკემბერს შეძენილი საქონლიდან 61.300 ლარის საქონელი 82.500 ლარად. თანხა მიღებულია საბანკო ანგარიშზე.
6) 31 დეკემბერს გადარიცხულია დეკემბრის თვის სატელეფონო მომსახურების თანხა 175 ლარი და ელ.ენერგიის ღირებულება – 3.815 ლარი.
7) 31 დეკემბერს დარიცხულია ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასები 3.200 ლარი. დაკავებულია საშემოსავლო გადასახადი დარიცხული ხელფასების შესაბამისად.
8) 31 დეკემბერს დარიცხულია ადმინისტრაციული შენობის ცვეთა 2.320 ლარი.
9) 31 დეკემბერს დარიცხულია ქონების გადასახადი 5.500 ლარი.
10) კორექტირებულია საეჭვო მოთხოვნები 1.700 ლარი.
11) 31 დეკემბერს გადარიცხულია რეკლამის ხარჯი 700 ლარი.

<u>მოგეთხოვებათ:</u>

1) გაითვალისწინოთ, რომ შპს "ვამპ" მარაგს აღრიცხავს მუდმივი მეთოდით და მოახდინეთ მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული გატარებები ხარჯების ეკონომიკური შინაარსისა და აგრეთვე ხარჯების ფუნქციური მეთოდით დაყოფის მიხედვით თარიღების შესაბამისად.
2) დახუროთ დროებითი ანგარიშები.
3) შეადგინოთ მოგება-ზარალის ანგარიშგება ხარჯების დაყოფის ორივე მეთოდის შესაბამისად.

| ფუნქციური მეთოდით ხარჯების დაყოფა | ეკონომიკური შინაარსით ხარჯების დაყოფა |
|---|---|
| | |

| | |
|---|---|
| | |

# დროებითი ანგარიშების დახურვა

| ფუნქციური მეთოდით ხარჯების დაყოფა | ეკონომიკური შინაარსით ხარჯების დაყოფა |
|---|---|
| | |

## მოგება – ზარალის ანგარიშგება

### (ფუნქციური მეთოდით ხარჯების დაყოფისას)

შემოსავალი რეალიზაციიდან

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

**საერთო მოგება**

მიწოდების ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

**მთლიანი საოპერაციო მოგება**

არასაოპრაციო შემოსავლები

**საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება**

## მოგება – ზარალის ანგარიშგება

### (ეკონომიკური შინაარსით ხარჯების დაყოფისას)

შემოსავალი რეალიზაციიდან

საქონლის ხარჯი

მიწოდების ხარჯები

ხელფასის ხარჯი

ცვეთა და ამორტიზაცია

საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი

სხვა სავადასახადო ხარჯი

სხვა საერთო ხარჯი

**საოპერაციო მოგება**

არასაოპერაციო მოგება

**საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება**

## სავარჯიშო N7

შპს "გორდამ" მიმდინარე წლის 5 სექტემბერს საკრედიტო ორგანიზაციის მიერ საბანკო ოპერაციით უცხოური ვალუტის ანგარიშსზე მიიღო 2 წლიანი 15%-იანი სესხის თანხა 30.000 აშშ დოლარის ოდენობით. წლის ბოლოს უნაღდო ანგარიშსწორებით გადასახდელი სესხის თანხა შეადგენს 3.800 აშშ დოლარს შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში, ხოლო სესხის დანარჩენი თანხის გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო ორი საანგარიშო პერიოდის ბოლოს თანაბარი ოდენობით, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო ანარიცხების გადახდა ხდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვში შესაბამისი სავალუტო კურსის მიხედვით ლარებში უნაღდო ანგარიშსწორებით.

პროცენტი გაითვლება 360 დღიანი მეთოდით.

**მოცემთხოვებათ:**

1) გაიანგარიშოთ მიმდინარე წლის ყოველთვიური პროცენტის თანხა;
2) გაატაროთ ბუღალტრულად სესხის მიღების, დეკემბრის თვის პროცენტის დარიცხვის, სესხის მიმდინარე ნაწილის გადახდის, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის დარიცხვის და დეკემბრის თვის პროცენტის გადახდის ოპერაციები შესაბამისი თარიღების მიხედვით თუ ცნობილია, რომ დოლარის კურსი ლართან მიმართებაში სესხის აღების მომენტისათვის იყო 1,84 ლარი, წლის ბოლოს 31 დეკემბრისათვის – 1,80 ლარი, ხოლო მომდევნო წლის 5 იანვრისათვის კი – 1,84 ლარი.

## სავარჯიშო №8

კომპანია "ვარაზმა" სამშენებლო კომპანიასთან 20X2 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაუკვეთა ადმინისტრაციული შენობის აშენება, რომელიც მოიცავს 2 საანგარიშგებო პერიოდს. მშენებლობა ფიქსირებულფასიანია და იგი 1.600.000 ლარის ტოლია. დათვლილია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობაც და იგი 900.000 ლარს უდრის.

გარდა ამისა, სამშენებლო კომპანიამ შპს "ვარაზისათვის" უნდა განახორციელოს მე-2 პროექტის შესრულებაც, რომელიც ასევე 2 საანგარიშო პერიოდს მოიცავს. აღნიშნული პროექტი ანაზღაურდება მასზე გაწეულ ხარჯებს დამატებული ამ ხარჯების 25% მოგების სახით.

<u>*მოვეთხოვებათ:*</u>

მოახდინოთ საჭირო ბუღალტრული გატარებების ჩაწერა ორივე ობიექტისათვის, აღიაროთ შემოსავალი და დახუროთ დროებითი ანგარიშები, თუ ცნობილია, რომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხარჯებმა პირველი ობიექტისათვის შეადგინა ხარჯების მთლიანი მოცულობის 40%. ამასთანავე ცნობილია, რომ მეორე ობიექტის მშენებლობა ამ საანგარიშგებო პერიოდში არ დაწყებულა.

მეორე საანგარიშგებო პერიოდისათვის პირველ ობიექტზე გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 540.000 ლარი, ხოლო მეორე ობიექტისათვის კი – 365.000 ლარი.

ანაზღაურების თანხის გადახდა სამშენებლო ობიექტისათვის ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღიარებული შემოსავლების შესაბამისად საბანკო ოპერაციით.

## სავარჯიშო №9

მ/წლის 20 იანვარს საქართველოს მაღალმთიან რეგიონში ზვავის შედეგად საწარმოს დაუზიანდა სასაწყობე შენობა. დაუზღვეველი ზარალის ოდენობამ შეადგინა 25.000 ლარი.

დაზარალებულ რეგიონში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივ აღმოფხვრასთან დაკავშირებული სპეციალური სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში საწარმომ მ/წლის 18 თებერვალს საბანკო ოპერაციით მიიღო 20.000 ლარი.

**მოგეთხოვებათ:**

ასახოთ საწარმოს აღრიცხვაში 20 იანვრისა და 18 თებერვლის ოპერაციები ბუღალტრული გატარებებით.

## სავარჯიშო №10

შპს "ვამა" ჩამოყალიბდა 20X1 წლის დეკემბრის თვეში, რომელიც ანხორციელებს საკანცელარიო ნივთების რეალიზაციას და ეწევა მომსახურებას ქსეროქსის აპარატით.

**დავალება №1.** შეადგინეთ შპს „ვამა"-ს დეკემბრის თვის ოპერაციების მიხედვით სარეგისტრაციო ჟურნალი.

**დავალება №2.** ოპერაციები გადაიტანეთ ანგარიშებში. გამოიყვანეთ ბრუნვები და საბოლოო ნაშთები.

**დავალება №3.** შეადგინეთ საცდელი ბალანსი.

**დავალება №4.** 31 დეკემბრის მდგომარეობით დახურეთ დროებითი ანგარიშები. გაინგარიშეთ მოგების გადასახადი 15%-ის ოდენობით.

**დავალება №5.** შეადგინეთ მოგება-ზარალის უწყისი და ბალანსი.

## შპს „გამა“-ს დეკემბრის თვის ოპერაციები

| № | თარიღი | ოპერაციის შინაარსი | თანხა |
|---|---|---|---|
| 1. | 03-12 | პარტნიორმა საბანკო ანგ. შეიტანა თანხა კაპიტალის შესავსებად | 55.000 |
| 2. | 06-12 | კრედიტით შეიძინა ქსეროქსის აპარატი | 2.700 |
| 3. | 07-12 | მაღაზიის ინვენტარის შესაძენად წინასწარ გადაიხადა ბანკით | 2.500 |
| 4. | 08-12 | მომხმარებელს გაუგზავნა ანგარიში გაწეული მომსახურებისათვის | 900 |
| 5. | 10-12 | სალაროში მიიღო 900 ლარი მომხმარებლისაგან | 900 |
| 6. | 12-12 | ბანკით გადაიხადა კრედიტით შეძენილი ქსეროქსის აპარატის ღირე-ბა | 2.700 |
| 7. | 16-12 | ტელევიზიაში რეკლამის განთავსებისათვის გადაიხადა | 420 |
| 8. | 20-12 | კრედიტში შეიძინა საქონელი ღირებულებით | 24.000 |
| 9. | 27-12 | ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდა საქონელი სარეალიზაციო ღირ-ბით<br>რომლის ფაქტიური თვითღირებულება იყო | 18.200<br>12.500 |
| 10. | 27-12 | დეკემბრის თვეში დარიცხული იყო ხელფასი: ა) გამყიდველებზე:<br>ბ) ადმინისტრაციაზე: | 2.100<br>1.400 |
| 11. | 27-12 | დაკავებულია ხელფასიდან: საშემოსავლო გადასახადი: | |
| 12. | 27-12 | გადარიცხულია: საშემოსავლო გადასახადი: | |
| 13. | 29-12 | გამოტანილია ბანკიდან ხელზე გასაცემი ხელფასი | |
| 14. | 29-12 | გაცემულია სალაროდან ხელფასი | |
| 15. | 29-12 | მყიდველს გაეგზავნა ანგარიში გაწეული მომსახურებისათვის თანხით | 1800 |
| 16. | 30-12 | ახალი ქსელებიდან მიიღო დეკემბრის თვის ანგ./ფაქტურა თანხით | 450 |

## სარეგისტრაციო ჟურნალი

| თარიღი | აღწერილობა | რეგისტრაციის № | დებეტი | კრედიტი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

| თარიღი | აღწერილობა | რეგისტრაციის № | დებეტი | კრედიტი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

დ კ დ კ დ კ

დ კ დ კ დ კ

დ კ დ კ დ კ

დ კ დ კ დ კ

დ კ დ კ დ კ

დ კ | დ კ | დ კ

დ კ | დ კ | დ კ

დ კ | დ კ | დ კ

დ კ | დ კ | დ კ

დ კ | დ კ | დ კ

**შპს "გამა"**

**საცდელი ბალანსი**

**20X1 წლის 31 დეკემბერი**

| № | ანგარიშის დასახელება | ანგ. № | დებეტი | კრედიტი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| ჯამი: | | | | |

**მოგება – ზარალის ანგარიშგება**

საანგარიშო პერიოდისთვის

20X1 1 იანვრიდან 20X1 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

| | |
|---|---|
| ამონაგები | |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | ______ |
| **საერთო მოგება** | |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | ______ |
| **მთლიანი საოპერაციო მოგება** | |
| **მთლიანი არასაოპერაციო ხარჯები** | ______ |
| **მოგება დაბეგვრამდე** | |
| მოგების გადასახადი | ______ |
| **მოგება დაბეგვრის შემდეგ** | |
| **საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება** | ______ |

**ბალანსი**

20X1წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | 31.12.20X1. | 31.12.20X0. |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | |
| ძირითადი საშუალებები | | |
| **სულ გძელვადიანი აქტივები** | | |
| **მიმდინარე აქტივები** | | |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | | |
| საეჭვო მოთხოვნები | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | | |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | |
| **სულ აქტივები:** | | |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | |
| **კაპიტალი და რეზერვები** | | |
| საწესდებო კაპიტალი შპს.– ში | | |
| აკუმილირებული მოგება | | |
| **სულ კაპიტალი და რეზერვები** | | |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | | |
| სავადახდო ვალდებულებები | | |
| დარიცხული ვალდებულებები | | |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | |
| **სულ საკ. კაპიტალი და ვალდებულებები** | | |